თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 3968847

გაცემის თარიღი: 18/05/2018 გაცნობის თარიღი: 18/06/2018

განცხადების ნომერი: AR1598225

შემოსვლის თარიღი: 02/05/2018

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.12.04.001.047
- მისამართი: ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა , მიკრო/რაიონი XI , კვარტალი I , (ნაკვეთი 1/47)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 24019.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს N5 კლინიკური საავადმყოფო (200010674)

ნომენკლატურა :

- **I კლასი**
- **8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი**
  ახალი მშენებლობა

დამკვეთი - განმცხადებელი:

- კონა ლაგურაშვილი პ/ნ 01014003799
- მისამართი: თბილისი ს.დოდაშვილის ქ. N 40

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში,სექტორი ნაძალადევი, დასახლება თემქა, მიკრო/რაიონი XI , კვარტალი I, (ნაკვეთი 1/47), შპს „N5 კლინიკური საავადმყოფო“-ს, საკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. ნაკვეთი 1/47), (მოიჯარე: შპს"ვიონი საქართველო") არსებული შენობის სახურავზე შპს"ვიონი საქართველოს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის ფუნქციონირების მიზნით ანტენების მონტაჟის განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რეგისტრაციის N 892018333644 საკადასტრო კოდი N 01.12.04.001.047, სანიტარული პასპორტი, სანიტარული დაცვის ზონის ორგანიზაციისა და კეთილმოწყობის პროექტიზე შესაბამისი ჰიგიენური დასკვნა, ქირავნობის ხელშეკრულება, მინდობილობა ,არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, ანტენების განთავსების სქემა და ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში,სექტორი ნაძალადევი, დასახლება თემქა, მიკრო/რაიონი XI , კვარტალი I, (ნაკვეთი 1/47), შპს „N5 კლინიკური საავადმყოფო“-ს, საკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. ნაკვეთი 1/47), (მოიჯარე: შპს"ვიონი საქართველო") არსებული შენობის სახურავზე შპს"ვიონი საქართველოს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის ფუნქციონირების მიზნით ანტენების მონტაჟის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ:

ანტენის და დანადგარის მოწყობისას უნდა უზრუნველყოთ მისი კონსსტრუქციული მდგრადობა. გათვალისწინებული და დაცული იქნას ს/ს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის "მე-10 პუნქტში მითითებული რეკომენდაციები;

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.